

საგარეჯოს მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ბაზეთი №2(184) 2019 წ. 16-31 იანვარი ფასი 1 ლარი

ბახეთი კონკურსის „ყველაზე სუფთა რეგიონი-2018“-ის გამარჯვებულად გამოცხადდა კახეთის მხარის რწმუნებული ირაკლი ქაღაბიშვილი: „ვეხდებით სუფთა რეგიონის სტატუსის შენარჩუნებას“



კატასტროფის რისკებს ქმნიდა. ყოველივე ეს, დაუშვებელია თვითონ მოსახლეობისთვის, სოფლის მეურნეობისთვის და აბსოლუტურად მიუღებელია ტურიზმის განვითარებისთვის. დღეს ჩვენ მივად-წიეთ, იმას, რომ დასუფთავების საკითხები მუნიციპალიტეტებს გათვალისწინებული აქვთ ბიუჯეტებში. აქტიურად მიმდინარეობს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა სოფლებიდან. ამ პოლიტიკას გავაგრძელებთ ბოლომდე, რომ საყოფაცხოვრებო თუ სხვა მყარი ნარჩენების მართვა ცივილიზებულ დონეზე იქნას აყვანილი. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენ თვითონ უნდა ვუფრთხილდებოდეთ იმ გარემოს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ.

საგარეჯოს ყველაზე სუფთა რეგიონის სტატუსი კახეთის რეგიონმა დაიმსახურა. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენს რეგიონში ეკოლოგია და დასუფთავება განვითარების ახალ ეტაპზე გადასული. მოგეხსენებათ, რომ ორი წლის განმავლობაში, ჩვენ აქტიურად ვახორციელებთ ამ პოლიტიკას. თავდაპირველად, დაეწყოთ ეგრეთ-წოდებული „შაბათობებით“, რათა პროცესებში თითოეული მოქალაქის ჩართულობა მაღალი ყოფილიყო. წლების განმავლობაში, საყოფაცხოვრებო თუ სამშენებლო ნარჩენები იყრებოდა ხევებში, მდინარის კალაპოტში, სოფლის განაპირას, რაც რა თქმა უნდა, ეკოლოგიური უღელვებოდა. დღეს ჩვენს რეგიონში, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, სოფლის მეურნეობისთვის და აბსოლუტურად მიუღებელია ტურიზმის განვითარებისთვის. დღეს ჩვენ მივად-წიეთ, იმას, რომ დასუფთავების საკითხები მუნიციპალიტეტებს გათვალისწინებული აქვთ ბიუჯეტებში. აქტიურად მიმდინარეობს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა სოფლებიდან. ამ პოლიტიკას გავაგრძელებთ ბოლომდე, რომ საყოფაცხოვრებო თუ სხვა მყარი ნარჩენების მართვა ცივილიზებულ დონეზე იქნას აყვანილი. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენ თვითონ უნდა ვუფრთხილდებოდეთ იმ გარემოს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის დაფინანსება გარდაეხდებოდა მოსახლეობის ჩართულობით მათი აზრის გათვალისწინებით



22 იანვარიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, პრიორიტეტების გამოსავლენად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ბიორბი მერაბიშვილი, მერის მოადგილე ალექსი ბილაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ოთარ ჩალათაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად სულ ორიოდე დღეში კოკბაანის, გომბორის, საშმის, პატარაქელის, წყაროსთავის, ნინოწმინდის, კიორგიწმინდის, თოხლიაურის, მანავის, უჯარმის და მუნიციპალიტეტის სხვა თემების სოფლების მოსახლეობას შეხვდნენ და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების შესახებ პირადად მიაწოდეს ინფორმაცია.

24 იანვარს ადგილობრივი მოქალაქეებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ილია ბაბიაშვილი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული ირაკლი ქაღაბიშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები გაესაუბრნენ და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ შესახებ პირადად მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია.

25 იანვარს ვიცე-პრემიერი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა 25 იანვარი, 2019 წელი



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის პირველ სხდომას ამავე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ლელა მარიაშვილი** უძღვევოდა. დღის წესრიგის გატარების შემდეგ დღის წესრიგის I საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თინათინა აბაილაშვილი**.

მიღება. საკითხებზე: „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების საპრიორიტეტული ობიექტების ნუსხისა და პრიორიტეტული გეგმის დამტკიცების შესახებ“ და „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მსუბუქი ავტომობილი „TOYOTA 4 RUNNER“-ი, სანომრე ნიშნით ADN001 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შ.პ.ს. „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“-სთვის მისი ფუნქციონირების ვადით, თხოვნის ფორმით გადაცემის შესახებ“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ქურდიანიძემ.

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საგარეჯოს სკოლამდელი დაწესებულება“ გაერთიანების“ საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 თებერვლის №92 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაბების კლუბი „ვეფხვები“-ს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 მარტის №24 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ – მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა არჩილ ჯაბადაშვილმა. შპს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ბაზეთი“ გარეჯოს მაცნე“-ს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ და „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2019 წლის მუნიციპალური პროგრამისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა პანაბერ მარბაძემ**.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ოთარ ჩალათაშვილის 2019 წლის ანაზღაურებადი შევებულებით სარგებლობის შესახებ. დეკლარაციები იმსჯელეს წარმოდგენილ საკითხებზე და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ინფრასტრუქტურა – 2019

დაიწყო აღგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების განხორციელება

არაჩიშვილის ქუჩა

ძალად საგარეჯოში არაჩიშვილის ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად წარიმართა.

პროექტი აღგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 252 965 ლარს შეადგენს.

პროექტის ფარგლებში მოასფალტდება 616 მეტრი სიგრძის გზის მონაკვეთი. ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ალექსი ბილაშვილმა, იურიდიული სამსახურის უფროსმა პაპა მარბეზაძემ** აღგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა და სამუშაოების შესრულების ხარისხი შეამოწმა.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს ს.ს. „კავკას ავტომაგისტრალი“ ასრულებს.



საცხოვრებელი სახლების ეზოები

საბარეჯოში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ კორპუსებთან არსებულ ეზოში მოეწევა ასფალტის საფარი.

ამ დროისთვის, დამთავრდა მიწის ვაკისის მომზადებისა და ბორდიურების მონტაჟის სამუშაოები, რის შემდეგაც მოასფალტების სამუშაოები დაიწყო.

პროექტი **აღგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება** და მისი ღირებულება 181 379 ლარს შეადგენს.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს ს.ს. „კავკას ავტომაგისტრალი“ ასრულებს. მიმდინარე სამუშაოების ვადებში დამთავრებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხით დაინტერესდნენ **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ალექსი ბილაშვილი, ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ზურაბ ივანელაშვილი** და **იურიდიული სამსახურის უფროსი პაპა მარბეზაძე**. მათ ადგილზე დაათვალიერეს პროექტის განხორციელების მიმდინარეობის ერთ-ერთი ეტაპი.



ასფალტის საფარით პირველად მთლიანად იფარება კახეთის ქუჩა

საბარეჯოში კახეთის ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში მოასფალტდება 658 მეტრი სიგრძის გზის მონაკვეთი. პროექტი აღგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 345 072 ლარს შეადგენს.

ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ალექსი ბილაშვილმა, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა რ(ო)სტომ პაპრაძემ, იურიდიული სამსახურის უფროსმა პაპა მარბეზაძემ** აღგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად მონახულა.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს ს.ს. „კავკას ავტომაგისტრალი“ ასრულებს.



„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის დაფინანსება გაორმაგდა

დასასრული

მინისტრი მაია ცქიტიშვილი სოფელ კაკაბეთის მოსახლეობას სეხვდა. მან მოსახლეობას პირადად მიაწოდა ინფორმაცია „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის შესახებ გამოყოფილი თანხის მიზნობრივ ხარჯვაზე, მოსახლეობის ჩართულობის გაძლიერებასა და მათთან ერთად პრიორიტეტების განსაზღვრის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

პროგრამის მიზანი სოფლის ტიპის დასახლებების ინფრასტრუქტურის განვითარება და აღგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობის გაძლიერებაა.

აღგილობრივმა მოსახლეობამ სოფლებისთვის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილეს და ერთობლივი მსჯელობის შედეგად ის პროექტები შეარჩიეს, რომლებიც მოსახლეობის საჭიროებებზე ყველაზე კარგადაა მორგებული.



სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ლაბაზღება, მშენებება, წესრიგდება ბაზრდელი კონტიბენტის მოლოდინში



ბაში ჩვენი მუნიციპალიტეტის მომავალ თაობას ელოდება:

– შეგახსენებთ, რომ საგარეჯოს №5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება გაიხსნა 1976 წელს. შენობა ადაპტურია, საერთოდ გათვლილია 200 აღსაზრდელის მისაღებად. თითოეულ ჯგუფს აქვს პერსონალური ტუალეტი, ხელსაბანი, საძინებელი ოთახი.

დღეისათვის დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამი ასაკობრივი ჯგუფი, სადაც რეგისტრირებულია 78 აღსაზრდელი. დაწესებულებაში წლების განმავლობაში საქმის სიყვარულით მუშაობენ პროფესიონალი და დიდ გამოცდილებას მქონე აღმზრდელები: ლალი ილაური, მარინა ქარსაულიძე, ზინა ხიბლაშვილი, მერი გზირიშვილი, აღმზრდელის თანაშემწეები: თინიკო რევაზიშვილი, ლია კველიშვილი, დარეჯან ხებრელაშვილი. ფსიქოლოგი – ციცო დათუნაშვილი, ლოგოპედი – გუკა (გულიკო) გოცირობე, მეთოდისტი ლია ფეიქრიშვილი, მუსიკის მასწავლებელი ნუნუ ტაბატაძე, მედლა – ლალი როსტომიშვილი, მხარეული – მარინა გზირიშვილი.

მინდა გითხრათ, რომ დაწესებულების სასწავლო-სააღმზრდელი გეგმა მრავალფეროვანია და ავებულია თანამედროვე მოთხოვნა-სტანდარტების მიხედვით.

ბაღის უფროსი ჯგუფი, ანუ სასკოლო მზაობის ჯგუფი გადის სასკოლო მზაობის საბილოტე პროგრამას. მშობლებისათვის ვაწყოთ „ღია კარის“ დღეებს ყველა ასაკობრივ ჯგუფში. მშობლები დღის განმავლობაში ეცნობიან და აკვირდებიან ბაღის ცხოვრებას, შემდეგ გვიზიარებენ შთაბეჭდილებას. სასწავლო წლის განმავლობაში ჩვენს აღსაზრდელთან ერთად აღვნიშნავთ საერო და საეკლესიო დღესასწაულებს. აღსაზრდელები სტუმრად



მიგვეყავს სკოლაში, ეცნობიან სკოლას და გაკვეთილების პროცესს. ასევე, მიგვეყავს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, სადაც დიდ კერანზე ნახულობენ ანიმაციურ და შემეცნებით ფილმებს. აქტიური მონაწილეობა მივიღეთ პროექტში „წიგნის კითხვის პოპულარიზაცია“, ასევე, აქტიურად და ყოველწლიურად ვერთვებით პროექტში – „გაუფრთხილდეთ დედამიწას“, საგარეჯოს „წითელი ჯვრის“ ორგანიზაციასთან ერთად გავიარეთ სწავლება „როგორ მოვიქცეთ კატასტროფების დროს“ და ჩავატარეთ სხვა საინტერესო ღონისძიებები.

რაც შეეხება ჩვენი შრომის, სწავლა-აღზრდის დონის შეფასებას, როგორც მოგეხსენებათ, საბავშვო ბაღის მუშაობის შემფასებელია სკოლა – როგორც უნარჩვევების და რა ცოდნით მიდის ბავშვი ბაღიდან სკოლაში. ამ მხრივ სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ყველა საჯარო სკოლ-

იდან ამ კუთხით მაღლობის წერილებს გვიგზავნიან.

იცით, რომ 2018 წლის დეკემბერში დაიწყო ბაღის სრული რეაბილიტაცია. პროექტი დაფინანსებულია რეგიონული განვითარების ფონდის მიერ. პროექტის ღირებულებაა 346 838 ლარი. ძალიან მაღე გვექნება ულამაზესი ბაღი და კეთილმოწყობილი ეზო კაუნუკის საფარიანი მოედნით, ასაკების მიხედვით შერწყმული ატრაქციონებით და სილის მოედნით.

წარმოიდგინეთ, რა დიდ პერსპექტივას გვიშლის წინ ეს სარეაბილიტაციო პროექტი – რეაბილიტაციის შემდეგ ბაღში შესაძლებელი იქნება 7 ასაკობრივი ჯგუფის განთავსება. ასე, რომ ველოდებით კონტიგენტის გაზრდასაც. თავად აღსაზრდელები, მშობლები ინტერესით ელიან დაწესებულების კარების გახსნას.

განახლებულ, უცვლილ ბარემოში ბალამაზებულ შემხვდა აღსაზრდელს



მხრხვიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (მენეჯერი **მერიკო საბინაშვილი**) 12 აღსაზრდელი ერთ სააღმზრდელი ჯგუფშია გაერთიანებული, რომელთა აღზრდა-განათლებას აღმზრდელი ნათია ბორაშვილი, აღმზრდელ-ფსიქოლოგი ნინო ოსიაშვილი, აღმზრდელის თანაშემწე – ელზა საგინაშვილი, მუსიკის მასწავლებელი მაია გრძელიშვილი, მხარეული სოფიო ცხოვრებაძე, მედლა ეკატერინე მამულაშვილი და დამლაგებელი ციალა სულიკაშვილი ემსახურება.

მენეჯერის ვერიკო საგინაშვილის თქმით: – საბავშვო ბაღის შენობაში ამ რამდენიმე წლის წინ „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტით მოწესრიგებული იყო სამხარეულო, საპირფარეშო, მაგრამ რაც შეეხებოდა სამეცადინო ოთახს და თავისუფალ ოთახს (რომელსაც პერსპექტივაში საძინებელი ოთახადაც გამოიყენებენ და შეიძლება იქ სპორტის გაკვეთილებიც ჩატარონ) სარეაბილიტაციო იყო. ამასთან შესაღესი იყო გარედან შენობა, აივანი კეთილმოწყობილი, შენობის სახურავიდან წვიმისა და თოვლის წყალი ჩამოდიოდა (შენობა 1985 წელს სვედა ექსპლატაციაში).

რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით აქ გარედან შეიღესა შენობა, კეთილმოწყობილი, შერემონტდა აივანი, მთლიანად გამოიცვალა შენობის სახურავი, შესასვლელში, სამეცადინო და თავისუფალ ოთახში ლამინატი შეიცვალა იატაკი, ასევე, შეიცვალა ჭერები, ძალიან ღამაზი ფერებით შეიღებოდა კედლები, ამასთან საპირფარეშო გაკეთდა ეზოში სველი წერტილებით.

21 იანვარს განახლდა ჩვენთანაც სწავლა, საბავშვო ბაღში მოსული ჩვენი აღსაზრდელები აღფრთოვანებასა და სიხარულს ვერ მალავდნენ – მათ სრულიად განახლებული, გალამაზებული დაუხვდათ ის გარემო, რომელიც სამთრის არდადეგების დაწყებამდე დატოვეს.



მართლმადიდებლობა

საუბარი მოკვართან როდის უნდა მივიყვანოთ ბავშვი ტაძარში?



არის საკითხები, რომელთაც ცოდნა ჩვენს მკითხველს საშუალებას მისცემს სწორედ წარმართონ ბავშვების აღზრდის პროცესი, არ დაარღვიონ ტაძარში ქცევის წესები. არის მთელი რიგი ნიუანსები, რომელთაც ცოდნა გამოადგებათ მშობლებს. სწორედ ამ საკითხებზე გვესაუბრება **საგარეჯოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი მიქაელ (არღვა-ხიშვილი).**

– **მამა მირიან, თუ შეიძლება გვესაუბრეთ ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე. როგორ უნდა მოქცენენ მცირეწლოვანი მშობლები, როდის მიიყვანონ ბავშვი პირველად ტაძარში, როდის მონათლონ...**
– იოანე ნათლისმცემლით მთავრდება

ძველიდღქმისეული მზადება მაცხოვრის მისაღებად. წინამორბედის მოვლინება ადასტურებს სიმართლისაკენ მრავალი თაობის მემკვიდრეობითი სწრაფვის წმინდა აუცილებლობას. ძველი აღთქმის თანახმად, ახალშობილი მშობლებს მიჰყავდათ ტაძარში მადლიერების ნიშნად და ძღვენს სწირავდნენ. დღეს კი, ანუ ახალი აღთქმის თანახმად, მორწმუნე დღეს ახალშობილი მიჰყავთ ტაძარში, დედას ეკითხება განწმენდის ღოცვა, შემდგომ კი ხდება ჩვილის ნათლობა.

– **შეიძლება თუ არა მცირეწლოვანი ბავშვი თვითონ გახდეს ნათლია და საერთოდაც, ნათლის არჩევისას რას უნდა მივუთხროთ მშობლებს?**

– ნათლისღება არის საიდუმლო, რომელშიც მორწმუნე წყალში სამეზობლო შთაფლვას და მისი მნათლავის მიერ ყოველწმინდა სამების – მამას, ძესა და სულწმინდას მოწოდების დროს, ხორციელი, ცოდვილი ცხოვრებისათვის კვდება და სული წმინდის მიერ სულიერ და წმინდა ცხოვრებაში აღდგება. ამით ახლადმონათლული ეკლესიაში შედის და მისი წვერი ხდება. ამიტომ თვითონ ნათლიას უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრება მას და აქედან გამომდინარე, სასურველია გოგონას მდ-

ედრობითი სქესის ნათლია ჰყავდეს, ხოლო ბიჭს – მამაკაცი.

– **რა ასაკიდან უნდა დაიწვას ბავშვებზე მარხვა და წაბაროს აღსარება?**

– რაც შეეხება ბავშვების ზიარებას, ეკლესია განსაკუთრებით უშეგებს შეღავათებს რომ ჩვილმა 2-3 საათით ადრე მიიღოს საკვები აუცილებელ შემთხვევაში. შემდგომში 7 წლის ასაკამდე ბავშვები ეტაპობრივად უნდა მიეჩინოთ მთმინება საკვების მიღებაზე, ხოლო 11 წლის ასაკიდან სრულყოფილად მოეთხოვება მომზადება წმინდა ზიარების მისაღებად.

– **რას ურჩევდით მშობლებს, კონკრეტულად რა რელიგიური ლიტერატურა უნდა იკითხონ ბავშვებზე?**

– პირველ რიგში მშობლებს ურჩევდით, თვითონ იცხოვრონ ქრისტიანულად, თვითონ მიიღონ საეკლესიო ქრისტიანული განათლება და ყოველდღიური ღოცვები ცხოვრების წესად აქციონ. მშობლებმა იმარხულონ, ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე რეგულარულად იარონ, იკითხონ სახარება, იკითხონ წმინდა წერილები, წმინდანთა ცხოვრება, იყოლიონ სულიერი მოძღვარი, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ოჯახისათვის. ეს ყველაფერი გამოიღებს კეთილ ნაყოფს მათი შვილების მომავალ აღზრდაში და უფაღვი დაიფარავს მათ ყოველთვის.

გარდა ამისა, მე მინდა მოგილოცოთ პირველ რიგში ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაული!

უფალი გუარაგვდეთ!
ესაუბრა

ზურაბ აბულაშვილი


ბამოსათხოვარი

როლანდ

ალვნიშვილი

ს ა ბ ა რ ჯ ო ს

აიპ „სპორტგაერთიანების“ მწვრთნელთა რიგებს გამოაკლდა პატარა ჩაილურის ჭიდაობის სექციის ყოფილი მწვრთნელი როლანდ ალვნიშვილი.



დაიბადა 1959 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარა ჩაილურში. პატარა ჩაილურის საშუალო სკოლა 1976 წელს დაამთავრა. სკოლის დამთავრების შემდეგ 1976 – 1979 წლებში იყო სამხედრო – სავალდებულო სამსახურში სპორტულ ასეულში. 1979 წელს შევიდა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში და 1984 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის სრული კურსი სპეციალობით “ფიზიკური კულტურა და სპორტი”, რომლის დამთავრების შემდეგ მიანიჭეს ფიზიკური კულტურის და სპორტის მასწავლებლის კვალიფიკაცია. წლების განმავლობაში მუშაობდა საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლაში, შემდეგ კი მეოთხე ექსპერიმენტულ საშუალო სკოლაში ფიზაღზრდის მასწავლებლად. ბოლო პერიოდში მუშაობდა საგარეჯოს სპორტული გაერთიანების სექციაში ჭიდაობა ძიუდოს მწვრთნელად.

სპორტული მოღვაწეობის დროს როლანდ ალვნიშვილს მიღებული აქვს შემდეგი დიპლომები:

1. რაიონის პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში - I ადგილი (60 კგ)
2. “არსენ მეკოკიშვილის” სახელობის პრიზი - III ადგილი
3. “არსენ მეკოკიშვილის” სახელობის პრიზი - 79 კგ. წონით კატეგორიაში მეორე ადგილის დაკავებისთვის.
4. 1977 წელს რაიონის პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში 70 კგ-მდე წონით კატეგორიაში პირველი ადგილი.
5. 1975 წელს მოსწავლეთა XXVII რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ქართულ ჭიდაობაში 64 წონით კატეგორიაში - მეორე ადგილი.
6. 1975 წელს მოსწავლეთა რაიონულ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში - პირველი ადგილი (68 კგ)
7. ჭიდაობა სამბოში საქართველოს პირველობაზე დაიკავა მესამე ადგილი (68 კგ)
8. ჭიდაობა სამბოში 1976 წელს საქართველოს პირველობაზე - II ადგილი
9. 1977 წლის ზონალურ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში 73 კგ. წონით კატეგორიაში - მეორე ადგილი.

მსუბუქი იყოს მის გულზე მშობლიური პატარა ჩაილურის მიწა.

აიპ „საბარეჯოს მშენიშვილი“
ტის სპორტგაერთიანება“

27 იანვარი – „ნინოობა“

ნინოწმინდა



საპარტიზმოს მართლმადიდებელი ეკლესია 27 იანვარს მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლებლის წმიდა ნინოს ხსენების დღეს აღნიშნავს. წმიდა ნინოს ხსენებას საქართველოს ეკლესია წელიწადში ორჯერ აღნიშნავს: 1 ივნისს მის საქართველოში შემოსვლას, ხოლო 27 იანვარს - გარდაცვალებას. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. ნინოწმინდაში ნინობა ყოველ წელს განსაკუთრებულად აღინიშნება. ტრადიციულად წმინდა ნინოს სახელობის მონასტერში დილით წირვა აღევლინა. ა.ა.ი.პ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ ორგანიზებით და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით სოფელში ჭიდაობა გაიმართა. ჭიდაობაში გამარჯვებულს საჩუქრად „ჭედილა“ გადაეცა.

ნინოწმინდა – საგარეჯოს ეპარქია მღვდარეობს გარე კახეთში. იგი დაარსებულია V საუკუნეში, მეფე-ვახტანგ გორგასლის მიერ, რომელიც არსებობდა საქართველოში ავტოკეფალიის გაუქმებამდე – 1811 წლამდე. XX-საუკუნის 90-იან წლებში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II -ის ღოცვა-კურთხევით ამ ტერიტორიაზე აღსდგა სამღვდელმთავრო კათედრა.

მოგონება

ნანული კირატიშვილი-რევაზიშვილი

არბან ადამიანები, რომლებიც საწუთროს ჩამოცილებულნი ისევ აგრძელებენ წუთისოფელს შემორჩენილთა გონებასა და გულში სიცოცხლეს, სიყვარულს, კეთილ ხსოვნას და ამასთან ერთად – დიდ ტკივილს, მონატრებას, რომელსაც ვერაფერი ავსებს, დროის სრბოლა ვერ აამებს და ვერაფერი ედება საღებუნად.

თუმცა, ერთი ჩემი მეგობრის თქმისა არ იყოს, მათ აქ, ამ წუთისოფელში „დროს აჯობებს“. დიახ, აჯობებს, რადგან იცხოვრებს, იცოცხლეს ისე, რომ თანაქალაქელების, თანამშრომლების, მეგობრების გულებში ისევ ტკბილ-მწარე მოგონებებად აგრძელებენ ცხოვრებას...

ასეთი იყო ჩვენი ნანული... დიახ, ჩვე-

ნი ნანული კერატიშვილი, ჩვენი რაიონის საყვარელი, თბილი ქალბატონი, საოცარი პიროვნება, ნამდვილი პროფესიონალი თავისი საყვარელი საქმისა და რაც მთავარია, კიდევ ჩვენი ქალაქის ქუჩების მშვენიერება, რომლის გამოჩენაც ერთნაირი სიბოთით ავსებდა ირგვლივ ყველაფერს – თვალბეჭდში მხეწამდგარი, დიმილიანი, ტკბილადმოუბარი მართლაც რომ გვიღამაზებდა ქალაქს, მისთვის საყვარელ რაისაავადმოფოს, შემდეგში ბავშვთა საავადმყოფოს შენობას – მის მედპერსონალს თეთრი ხალათითა თუ ღამაზი, ყვაელილებით მოჩითული კაბით, თბილი, ყურადღებიანი დიმილით... შემდეგ კი საყვარელი მეუღლის – ზაურის გარდაცვალების შემდეგ შავადშემოსილიც, ჩვეული ყურადღებიანობით აგრძელებდა ჩვენს შორის ყოფნას. სამი შვილი გაზ-

არდეს, ერთმანეთზე უკეთესები, მშობლებით თბილები, ყურადღებიანი, კაცთმოყვარეები და ღამაზები... ნანულიმ 19 წლისამ რაიონულ საავადმყოფოში ექთნად დაიწყო მუშაობა, წყაროსთაველმა საგარეჯოელ ზაურ რევაზიშვილს დაუკავშირა ბედი და ჯერ გელა შევიძინა, გელას ზეინაბი და ვაჟა მოჰყვნენ, ხარობდნენ, ხალხში სიკეთეს თესავდნენ, რათა მათ შთამომავლობას სიყვარულის ნერგებად დახვედროდნენ შემდეგში ცხოვრების გზაზე. ასეცაა, თუმცა ახლა, ადარც ზაურია და ადარც ნანული გვიმშვენებს ქალაქს. 1 იანვარს ორი წელი შესრულდა ნანულის ამქვეყნიდან გასვლიდან, მაგრამ დიდხანს გვემახსოვრება, რომ 50 წელი ემსახურა საგარეჯოელთა ჯანმრთელობას, ემსახურა სიყვარულითა და დიდი პატივისცემით.

დღეს მისი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები აგრძელებენ მისი ცხოვრების წესით ცხოვრებას, ახლა ისინი გვიღამაზებენ ქალაქს, თითოეულ საგარეჯოელს ეიმედებიან, თესავენ სიყვარულსა და სიკეთეს და კიდევ ერთხელ შეგვახსენებენ – ჩვენი რაიონის თითოეული მოქალაქის წინაშე როგორი ვალდებულები ვაყვით ნანული ზუსტად ორი წლის წინ საყვარელ მეუღლესთან ახალი წლის მისალოცად.

მსუბუქი იყოს მათ გულზე დაყრილი მიწა. ნათელში იყოს მათი სულები და მათმა მონაგარმა კვლავაც მშობლების, პაპა-ბებიების მიერ გაკვალული გზით გაავრძელონ კაცურად, ღამაზად ცხოვრება.

საბარეჯოელეზი

გარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა

სპორტი

2018 წლის შედეგები

2018 წლის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საუკეთესო სპორტსმენია **თამაზ პირაკოზაშვილი**

საგარეჯოს სპორტსმენთა

საგარეჯოს სპორტსმენთა

2018 წლის საგარეჯოს საუკეთესო სპორტსმენთა ათეული:

- ირაკლი კუპატაძე (ბიუფო)
- კობა მჭედლიშვილი (ბიუფო)
- ამირან ღარბაისელი (ბიუფო)
- ლავა მათიაშვილი (ბიუფო)
- თინათინ რევაზიშვილი (ბიუფო)
- დავით ხუციშვილი (თავისუფალი)
- ბიბი ქურხული (თავისუფალი)
- დავით კუჭუაშვილი (თავისუფალი)
- ზურაბ ერბოწონაშვილი (თავისუფალი)
- ნუბზარ ჭიკაძე (მკლავჭიდი)

ბარეჯოლ ძიუდოსტ გოგონებს (მწვრთნელი ლუდმილა ფერაძე) არაერთხელ უსახელებიათ თავი რეგიონულ, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ასპარეზზე. გამონაკლისი არც 2018 წელი იყო.

თბილისში გამართულ საქართველოს პირველობაზე ჩემპიონები გახდნენ მარიამ კოსტაშვილი და მარიამ ლაფანიშვილი, მეორე პრიზიორები – ნინო ლოლაძე და ლალი ხოსიტაშვილი, მესამე პრიზიორი – თამაზ სუხიაშვილი.

უნგრეთის საერთაშორისო ტურნირზე ვერცხლის მედალი მოიპოვა ნინო ლოლაძემ, მარიამ ლაფანიშვილმა კი – ბრინჯაოს მედალი.

ახმეტის საერთაშორისო ტურნირზე თამაზ სუხიაშვილმა დაჯაბნა ყველა მოწინააღმდეგე და გახდა ჩემპიონი, ხოლო მარიამ ხოსიტაშვილმა და ანა-მარია სიმონიშვილმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

აჭარის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონები გახდნენ მარიამ ხოსიტაშვილი და ნინო ლოლაძე, მესამე საპრიზო ადგილზე გაეიღნენ მარიამ ლაფანიშვილი, მარიამ კოსტაშვილი და ვარდიკო ბუჩაშვილი, მესამე ადგილები დაიკავეს ლალი ხოსიტაშვილმა და ნატალია გულისაშვილმა.

ახალგაზრდობაში მსოფლიო თასის გათამაშებაში ნატალია ყოფილიყო მესამე ადგილი დაიკავა.

ჩვენმა ძიუდოსტმა გოგონებმა თავისი სიტყვა თქვეს თბილისის საერთაშორისო ტურნირზეც. აქ ვერცხლის პრიზიორი გახდა ნინო ლოლაძე. მარიამა თედიანიშვილი, ქეთი წიკლაური, თამაზ სუხიაშვილი, ლალი ხოსიტაშვილი III ადგილზე გავიდნენ.

საქართველოს პირველობაზე სამბოში ჩემპიონები გახდნენ ნინო ლოლაძე და მარიამ კოსტაშვილი. მარიამ ლაფანიშვილი, ვარდიკო ბუჩაშვილი და სალომე გულისაშვილი კი – მეორე პრიზიორები. აღსანიშნავია, რომ მწვრთნელის განცხადებით, არც ერთ შემთხვევაში შეჯიბრში მონაწილეობა აიპ „საგარეჯოს სპორტკაერთიანებს“ არ დაუფინანსებია.

ბაკაპეტის ბიუფოს წრე (მწვრთნელი ვიორგო მასურაშვილი)

წრეში 8-10 წლის ასაკის 25 ბავშვია გაერთიანებული, რომლებიც ბაკაპეტის საჯარო სკოლის სპორტდარბაზში ვარჯიშობენ. წრე 2004 წლიდან ფუნქციონირებს. ამ წლის აღსაზრდელები არიან საქართველოს,

ევროპისა და მსოფლიო პრიზიორი ელდარ ჯიქიძე, სამბოში საქართველოს პრიზიორი ნიკა მოველიძე და სხვები.

ყანდაურის ბიუფოს სემცია (მწვრთნელები მიხეილ ქურხული და გელა მანუელაშვილი)

სემციამ 2017 წლის ოქტომბრიდან ყანდაურის საჯარო სკოლის სპორტდარბაზის ბაზაზე დაიწყო მუშაობა. სადღესოდ სექციაში 15 მოზარდია გაერთიანებული. სპორტდარბაზი აღჭურვილია ვარჯიშისათვის საჭირო ყველა ინვენტარით, თუმცა არაა გათბობა.

დაარსების ერთწლიანი ვადის მიუხედავად, სექციას ჰყავს რამდენიმე იმედისმომცემი, პერსპექტიული მოჭიდავე, რომლებიც იმედია, ახლო მომავალში თავიანთ სიტყვას იტყვიან ქართული ძიუდოს ისტორიაში. 2018 წლის საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის ღია პირველობის ჩემპიონი გახდა ლაშა მამულაშვილი. იგი ასევე მეორე პრიზიორი გახდა საქართველოს ძიუდოს ფედერაციისა სპორტკლუბ „განთიადის“ მიერ გამართულ ვახტანგ ჯაფარიძის ხსოვნის რესპუბლიკურ ტურნირში 2003-2005 წლებში დაბადებულ ძიუდოსტთა შორის 81 კგ წონით კატეგორიაში. ამავე წონაში იგი ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა გორში გამართულ ღურმიშხან ბერუაშვილის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირზე.

ასეთივე შედეგებით დაასრულა მან ასპარეზობა რუსთაველი ბადრი ყვავილაშვილის მე-14 რესპუბლიკურ ტურნირზე, სადაც 90 კგ წონით კატეგორიაში იჭიდავა.

თამაზ ბობიაშვილი ხაშურში გამართული გელა ბარათაშვილის სახელობის სამბოსტო ტურნირის III პრიზიორი გახდა 81 კგ წონით კატეგორიაში, ასევე ძიუდოში რუსთაველი ბადრი ყვავილაშვილის სახელობის ტურნირზე გახდა III პრიზიორი ამავე წონაში.

ბიორბიწმინდის სპორტული სკოლა (მწვრთნელები გონა მეოკიშვილი, ბადრი ბასილაშვილი)

სკოლაში სოფლის 25 მოზარდი ეუფლება ჭიდაობას. სკოლა აღჭურვილია ვარჯიშისათვის საჭირო ინვენტარით, არის გათბობა, მაგრამ ასამოქმედებელია აბანო. სკოლის გასული წლის წარმატებული სპორტსმენები არიან:

ლევან კვეციანი – ილია ბაბუციძის სახელობის ტურნირის ჩემპიონი, დანიის საერთაშორისო ტურნირის მეორე პრიზიორი, რუსთაველის ბადრი ყვავილაშვილის სახელობის ტურნირის III პრიზიორი, მარტყოფის ამირან ტოტიკაშვილის სახელობის ტურნირის III პრიზიორი.

ლუკა ღარსიანაშვილი – დანიის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი; სვანეთის ნესტორ ხერგიაშვილის და ხაშურის ვეფხია კაპანაძის სახელობის ტურნირების

გამარჯვებული, ბორჯომის საერთაშორისო ტურნირის ვერცხლის მედალოსანი, ჯიბილო ნიჟარაძის (თბილისი), ბადრი ყვავილაშვილის (რუსთავი), საგარეჯოს რაიონული ტურნირების მესამე პრიზიორი.

ლევან ღრეშელი – გიორგი რევაზიშვილის სახელობის ტურნირის და რაიონული პირველობის ჩემპიონი.

ბიორბი წმინდის – ბორჯომის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი, საგარეჯოს რაიონული პირველობის მეორე პრიზიორი.

ბიორბი მამოკიშვილი – ბიძინა კვეციანიშვილის ხსოვნის ტურნირის მეორე პრიზიორი.

ბეჭიაშვილი ალექს – ვეფხია კაპანაძის სახელობის ტურნირისა და რაიონული პირველობის III პრიზიორი.

ნიკა ნოზაძე – როინ ყორღანაშვილის სახელობის ტურნირის – მეორე და საგარეჯოს რაიონული პირველობის მესამე პრიზიორი.

თამაზ მამოკიშვილი – ხაშურის ვეფხია კაპანაძის სახელობის ტურნირის ჩემპიონი.

სკოლის ყველაზე შედეგიანი აღსაზრდელი დავით კვეციანი. 2018 წელს ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში გამართული 18-ზე მეტი რეგიონული, რესპუბლიკური თუ საერთაშორისო დონის ასპარეზობიდან მან 13 გამარჯვება, ერთი მეორე და ოთხი მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 27 აპრილს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ევროპის თასის გათამაშებაში მის მიერ მოპოვებული მესამე ადგილი, 8 მაისს კი იგი ჩემპიონი გახდა დანიის (კოპენჰაგენი) ღია პირველობაში.

უღანოს ბიუფოს სემციის

მწვრთნელები ირაკლი დადგანი, ლაშა ფირცხელანი და გაიოზ ჩართოლანი 32 უდაბნოულ სპორტსმენს ინვენტარით აღჭურვილ, კეთილმოწყობილ სპორტულ დარბაზში ამეცადინებენ, რომელიც ყოფილი საბავშვო ბაღის შენობაშია განთავსებული. დარბაზი სოფლის ახალგაზრდობის ხელისშემწყობი პროექტით ამ რამდენიმე წლის წინ სათანადოდ აღიჭურვა. ერთადერთი, რაც აქ მოსაგვარებელია, ეს გათბობის პრობლემაა, რომელსაც მხოლოდ ელექტროენერჯის მოხმარებით აგვარებენ. დარბაზში უდაბნოს საჯარო სკოლის პირველკლასელებიც არიან და მე-10-11-12-ე კლასელებიც. ჰყავთ წარმატებული სპორტსმენი გოგონა ნინო გულბანი, რომელიც მიმდინარე წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა ჭიდაობა სამბოში, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატზე სერბეთში, სამწუხაროდ, წაავო.

მკლავჭიდი ემზაღაზიან უკეთესი შედეგებისათვის

2016 წლის გაზაფხულიდან აიპ „საგარეჯოს სპორტკაერთიანების“ ხელმძღვანელობის თანადგომით გიორგი ვიშინდის საჭიდაო დარბაზში ჩამოყალიბდა მკლავჭიდი წრე (მწვრთნელი მამუკა ბილანიშვილი), რომელიც დღითიდღე იზრდებოდა და იკრებოდა ძალებს. 2018 წელი კი ახლადშემდგარი გუნდისათვის საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ჩვენმა მკლავჭიდელებმა შეძლეს 4 საპრიზო ადგილის დაკავება, აქედან 3 – 18 წლამდელებს და ერთი – უფროს ასაკში.

18 წლამდელებში გიორგი დიდმელაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა მარჯვენა ხელის, მესამე კი – მარცხენა ხელის გადაწყვეტაში. გიორგი კვეციანი III პრიზიორი გახდა მარჯვენა ხელით ასპარეზობაში.

21 წელს ზევით მოასპარეხეთა შორის „ცაცებში“ მესამე პრიზიორი გახდა მამუკა ბილანიშვილი. აღსანიშნავია ისიც, რომ გიორგი დიდმელაშვილი გასული წლის მაისში მონაწილეობდა ბუღაგარეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატში, სადაც დიდი გამოცდილება მიიღო. ეს მიღწეული წარმატებები დიდი სტიმულია გუნდის სხვა წევრებისათვის და მონდომებით ემზადებიან გახდნენ წარმატებული სპორტსმენები.

კლასიკური ჭიდაობა კიბები მუნჯიშვილების ფინალი



(მწვრთნელები თ. ყიფიანი, ვ. მარტიაშვილი) რვა აღსაზრდელიც მონაწილეობდა. მათგან ტურნირზე საპრიზო ადგილების დაკავება მხოლოდ ორმა – მანავის ბერძნულ-რომაული ჭიდაობის წრის აღსაზრდელებმა მძებმა ოთარ და გუგა მუნჯიშვილებმა შეძლეს. ისინი 23 კგ. წონით კატეგორიაში ჭიდაობდნენ და ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ამ შეხვედრაში I ადგილზე – ოთარი, მეორეზე კი გუგა მუნჯიშვილი გავიდა.

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე

11-13 იანვარს

თბილისში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც აიპ „საგარეჯოს სპორტკაერთიანების“ სახელით ჭიდაობდა ევროპის პრიზიორი კადეტებს შორის ქერიმ მანალიკაშვილი (მწვრთნელი თ. ყიფიანი). ქერიმ 63 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა და შეძლო III საპრიზო ადგილის დაკავება. ამ ადგილისათვის ორთაბრძოლაში მან 3:1 დაამარცხა ორგზის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი კადეტებში ოზურგეთელი გიორგი შოთაძე.



გვერდი მოამზადა მიზი ლაბახიშვილი

ინოვაციური სახალხო მითხმელი ღვაწლის მორიგი აღიარება

„ცხოვრებითა ვარ ღარიბი და სულიერად მდიდარი, დღემდე კაცურად ვატარებ, რაც მქონდა ასაკიღარი...“

შალვა ოკინაშვილი

წუთისოფელი



მცდარია იგი, ვინც აქებს სოფელსა, ავად მდინარსა. დაგიგებს ეკლის ლოგინსა, ვერსად ვერ დასდებ ბინასა.

წინ დაგიყენებს უკანას, უკან მოაქცევს წინასა. ხეირი არც მას აყარა, ვინც ემსახურა რკინასა.

არავის ინდობს ოხერი, არც დიდს, არც პაწაწინასა, უცებ გამოვდებს კაურსა, გადაგატარებს ყირასა.

ბედნიერსა და უბედურს არ სტოვებს გაუწირავსა, სუყველა წარმავალია მზეც დროებითა ბრწყინავსა.

თავისი დღე და მოსწრება დატრილ ლომით გმინავსა, უღირსს დირსეულს დაარქმევს, დირსეულს გაგიკილავსა.

ხანმოკლე წუთისოფელი გრძლად ეხვეწება ტანჯულსა. ბოლოს სიკვდილი ასწორებს, მახინჯს და გამოპრანჯულსა.

როცა გაგიშლის დავთარსა, იქ ვერ დაისწრებ მსაჯულსა. მდიდარი, ღარიბი ნურასდროს ნუ დაუკეტავ ნაურსა.

პატარა ერი

პატარა ერმა საუკუნეების მანძილზე აწარმოა ათასობით თავდაცვითი ომი, რათა ქართული მიწა-წყალი და ფასდაუდებელი ეროვნება გადაეჩინა.

პატარა ერმა საკუთარი სისხლით დაწერა წიგნი, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ ეწოდება.

პატარა ერმა შექმნა უნიკალური დამწერლობა, უნიკალური ანბანი, რომელიც სამ სახეობად წარუდგინა კაცობრიობას.

პატარა ერმა შექმნა სახელმწიფო, რომელსაც თავდადებული და ნიჭიერი მეფეები ჩაუყენა სათავეში.

პატარა ერმა მოაწუქურთმა და გაფურჩქნა ხელოვნება, რომლის მედროშეობა რუსთაველს არგუნა წილად.

პატარა ერი იკრიბებოდა და იქსაქსებოდა, ვით მათა კალთებზე ჩამონადენი ნაკადულად.

მე არც ვიცი, რატომ იწერება ეს სტრიქონები? არც ის ვიცი, ვინ წაიკითხავს, ვის დააინტერესებს ჩემი მოკრძალებული ჩანაწერები.

მხოლოდ ის ვიცი, რომ ამ პატარა ერის სისხლის წვეთი ვარ, მის სამსხვერპლზე დაღვენთილი და აკიაფებული.

ჩემი მიზანი ერთადერთი და გადაუდებელი იყო, როგორმე, ახლოს მივსულიყავი სამშობლოს გულთან, საიდანაც ფეხს არასოდეს მოვიცვლიდი.

ისმაილა

ამ რამდენიმე წლის წინ სოფელში ხმა დაირხა: ვიღაც თურქი ჩამოვიდა და ნინოწმინდაში სახლ-კარი შეიძინა.

ერთი სული და გული მქონდა, როდის ვნახავდი ამ უცნობ პიროვნებას, როდის ვნახავდი, როგორ შეგხვდებოდი, ან რა შთაბეჭდილებას მოახდენდა სამშობლოსათვის თავგადაკ-

ლულ ადამიანზე. მეგობრულად გავეცანი, არც მან დამაკლო მეგობრული დიმილი და შემოხედვა. ყველაზე ძალიან იმან გამაკვირვა, რომ წმინდა, ძარღვიან ქართულ ენაზე ალაპარაკდა. ცოლს შეუძახა: სტუმარი მეწვია და ღამაში სუფრა გაგივამალეო.

ტანხედ ეკალმა დამაყარა, პურ-მარილი ხომ ჩვენი ეროვნული ტრადიციების შემადგენელი ნაწილია.

ისმაილა მიყვება, რომ მის გულსა და ძარღვებში დღემდე არ დამშრალა ქართული სისხლი. როდესაც საქართველოს უცხო-ლოველებოდო, გულმა ძველი გააორკეცაო, თავს ვედარ ვიკავებდი და ცრემლები დააბლუპით ჩამომდიოდაო.

მეც გონებრივ სამიზნეზე დავსვი ეს მადლიანი, კეთილი და აქამდე შემორჩენილი გურჯთა შთამომავალი.

ამ წინებზედ ნახირში ერთად მოვხვდით. წვიმა გადადებდას აღარ აპირებდა. მე შევთავაზე: მოდი წავიხეხსოთ, თორემ წვიმა გადადებდას არ აპირებს – მეთქი.

ყოფილი მწვემსების მოსაგონარი დავლიეთ, მეორე სადღეგრძელო უფაღს ვაკეთებდით, მესამე სადღეგრძელო სალოცავებისა წარმოვთქვით.

ჩვენს შორიასლოს მარტომწვემის აბუზულიყო და ხევიდანი თვალებით ჩასცქეროდა მრავალსაუკუნოვანი მშობლიური მიწის პატარა მონაკვეთს.

ისმაილა პურ-მარილით და არყით სახეხს სასმისით ამ მწვემსისკენ დაიძრა, თან დააყოლა: იქნებ მშიერია და ეს ორიოდე ლუკმა ცოტას მოასულიერებსო, ხოლო არაფი ჯანს გაუთბობს და ხასიათზე მოიყვანსო.

ტანში ჟრუანტელმა დამიარა, ტირილი მომინდა და ვეღამ ბოლმა გამეჩხირა. ეს თურქი არ არის, ეს ძალით გათურქებული ქართველის შთამომავალია.

ერთხელ იოსებ ნინეშვილი მომიყვა, თუ როგორ გაემგზავრა ქართველ მამულიშვილთა მოზრდილი ჯგუფი ფერეიდანში, როგორ წაიღეს ქართული ნივთები უცხო ქვეყანაში. „ეკვირიც კი წავიდეთო, საზღვარზე შეგაწირწმეთ, ხომ არაფერი დავგრჩათ. ამითიხრა და დასძინა – „დედა ენა“ დაგვრჩენოდაო.

ფერეიდანში ერთგან ავტობუსი შევანერეთ, ავტობუსის კარებიდან პატარა ბიჭი ამოვიდაო, თავზედ ხის თასი ედგა და ზედ ნაღებიანი მაწვინს ქილები ელაგაო. ბავშვს ფული აუგვროვებო, მივაწოდეთო. ბავშვმა ერთი ამოიღოდა, ატირდა და გაგვერიდაო. აქმეზბული თანხა შემოგვატოვა და ქართველი ერის მოუშუშებელ ჭრილობებში ჩაგვახედოაო.“

მთელი დღე უსტვენს ისმაილა ივრის ჭალებში, აბალახებს საქონელს და რაც მოავარია: ქართულად მდერის, ქართულად უსტვენს და ქართულად მწვემსავს სამწვემსურს.

ისმაილა ჩვენი მედგარი ისტორიის შემადგენელი ნაწილია. მართლაც რომ წითელ წიგნში შესატანი და დასამკვიდრებელი.

მოდით, მოდით საკუთარ მიწა-წყალზე, ჟამთა აებედითობით გადახევილო ქართველებო, ნუ გეშინიათ, თქვენ ხომ იძულებით დაგათმობინეს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა.

* * *

რა ღამაში რამე ხარო, მიწაზე ბევრჯერ ნამეხარო, ერთი თხოვნა შემისრულე – არასოდეს გამეყარო.

შენ გაქმ და შენ გადიდე. გულზეც შენ უნდა დამეყარო, გაგვიზარდე თათბები, არასოდეს დაგვედალო.

მადლობა

მადლობას ვუხდით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სამსახურის უფროსს **სოფო შაძარაშვილს** ჩვენდამი გამოჩენილი ყურადღებისა და დახმარებისათვის.

სოფელ სათაფლეს მოსახლეობის სახელით:

მარიამ ლელაძე, მიხეილ როსტომიძე, ეთერ ნაღირაძე, მარიამ სამაღურაშვილი, ნინო ბანდელიძე, ვერა დიღმეაშვილი, ვასილ კავლოვი

მოსაგონარი ბია პირაკოზაშვილი

ჩემო დიდო ტკივილო, ჩემო შვილო. 8 თებერვალს 44 წლის გახდები აქ, შენს ოჯახში, შენს ახლობლებში, შენს ამ ხანაგ-მეგობრების გულეში. აქ, დიდ ჩაილურში წელიწადის ნებისმიერ დროს უამრავი სანთელი იწვის შენი უკვდავი სულის მოსახსენებლად.



ჩემო უძვირფასესო შვილო გია, საიუბილეოდ შენს საყვარელ სიმღერას გიძღვნიდი ხოლმე. ზეციურ საქართველოში სიმღერა ხომ იგივე ცრემლია, რომელიც მაშინაც მოდის, როცა გულს დიდი მწუხარება კუმშავს და მაშინაც, როცა გულს დიდი სიხარული ეწვევა. ახლა იმ სიმღერას მოგიძღვნი, რომელსაც ძალიან ხშირად გიმღეროდი აკვანთან:

„ვისაც ძე არ შეუკლავს, როს მამულს სჭირვებია/ შვილო, იმ ვაგლას დედას, შვილი არ ჰყვარებია/ ჩემის მამულისათვის, მე ჩემს ძუძუს გაწოვებ, მისი სიკეთისათვის გაგწირავ და გაბრძოლებ“

შვილო, ქართველი დედა ჯერ კიდევ მუცელში მყოფ დაუბადებელ ჩვილს უმღეროდა. პირველი სიმღერა „ნანა“ იყო, შემდეგ კი დედის რმესთან ერთად შეესისხლხორცებდა თავისი მოდგმისა და ფეხვის ძაფსა და მადლს, ვაჟკაცობისა და სამშობლოსათვის თავგანწირვას, ღვთისმშობლისა და სიყვარულს. „ნანაზე“ დიდი სიმღერა არ არსებობს. იგი ქართველი ერის სიმბოლოა. მასზე იყო გაზრდილი ყველა ქართველი, ვისაც ყველაზე ძლიერ უყვარდა დედა-სამშობლო. „იანანა“ ერთ-ერთი პირველი სიმია სამშობლოსთან, დედასთან დაკავშირებული. მისი ჩუმი ხმებით იღვრება ჩვენში სამშობლოს სიყვარული.

დიდი ილია მოუწოდებდა ქართველებს: „ნანა“ ქართველი ერის სიმბოლოა... „ნანა“ – პირველი სიმღერაა. „ნანა“ დედას ჰქვია „ნანა“ დედის ლოცვაა.

შვილს ნებისმიერ ასაკში სჭირდება დედის ლოცვა და მის მიერ ნამღერი იანანა. ილია მართლაც სჯეროდა, რომ აკვანზე დედის ნამღერი „ნანათი“ გმირი გაიზრდებოდა.

„ნანა“ ჩვენი ისტორიისათვის ძირძველია. ძალიან სამწუხაროა, რომ დღეს აკვანთან „ნანას“ აღარ მღერიან.

ჩვენო საყვარელო შვილო, გია, მადლობა ასეთი შვილობისათვის. შენი სხეული დაიფერფლა ერისა და ბერის სიყვარულში, სამშობლოზე ფიქრსა და დარდში. მადლობა უფაღს, რომ შენ იყავი ჩვენთვის როგორც სიმბოლო და ორიენტირი ღვთისკენ მსწრაფველი სულია.

უფაღმა ნათელში ამოფოს შენი და შენი თანამებრძოლების უკვდავი სული.

2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილი გია პირაკოზაშვილის დედა ნანი პირაკოზაშვილი.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

გარეჯის მაცნე

გარეჯის მაცნეს გამოცემული შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500 რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15, გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne1@gmail.com